



## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების  
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ  
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ეკონომიკა

სსის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

10 თებერვალი, 2023



## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი: ეკა

გვარი: ლეკაშვილი



## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>	ეკონომიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე <sup>2</sup>	VIII საფეხური,
4	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით <sup>3</sup>	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) <sup>4</sup>	0311 ეკონომიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
9	განხორციელების ადგილი <sup>5</sup>	მ. კოსტავას ქ., N 77, თბილისი, 0175, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 2021 წლის 17 დეკემბერი, N1384073
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 17 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 17 დეკემბრამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31 დეკემბერი

<sup>1</sup> დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

<sup>2</sup> ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>4</sup> განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

<sup>5</sup> ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი<sup>6</sup>

1. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;

<sup>6</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



2. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და დაზუსტდეს კურსის შინაარსთან მიმართებაში;
3. რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
4. დოქტორანტის მიერ შესრულებული სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც გამოქვეყნდეს ისეთ ჟურნალში ან საკონფერენციო მასალათა კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში და Web of Science -ში.
5. რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;
6. რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსსა და სწავლის შედეგების შესაბამისად;
7. რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება და სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა;
8. რეკომენდებულია სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს დოქტორანტის სამეცნიერო თემატიკის შერჩევა;
9. აკადემიური პერსონალისთვის წაყენებულ მოთხოვნებში აისახოს Scopus-ში და Web of Science -ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და/ან კონფერენციათა მასალებში ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება;
10. პროგრამის ბიუჯეტში აისახოს დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსება;
11. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>7</sup>

ინსტიტუციამ წარმოდგენილი 11 რეკომენდაციიდან სრულად 7 რეკომენდაცია, ხოლო 4 მეტწილად შეასრულა.

კერძოდ, სრულად შესრულდა: 2.2., 2.3, 2.4, 2.5, 2.6 ქვესტანდარტები.

მეტწილად შესრულდა: 3.2; 4.1, 4.4 ქვესტანდარტები.

<sup>7</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



## რჩევები<sup>8</sup>

1. უცხო ენების დეპარტამენტმა, დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის შესაბამისი დოკუმენტის შეფასება (დადასტურება) განახორციელოს წერილობით (დოკუმენტის შექმნით). ასევე, დაწესებულებამ განსაზღვროს რელევანტური სერტიფიკატების ან სხვა დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი;
2. დოქტორანტობის კანდიდატთა გასაუბრების შეფასება განხორციელდეს არამართო კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმებით, არამედ გასაუბრებაც შეფასდეს გაზომვადი კრიტერიუმებით;
3. სასწავლო კურსებს „გადაწყვეტილების მიღების მოდელები ეკონომიკაში“ და „ეკონომიკური უსაფრთხოება“, მათი შინაარსისა და შესასწავლი მასალიდან გამომდინარე მოეხსნას წინაპირობა. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს უფრო მოქნილად (მოხილურად) მოახდინონ სასწავლო კურსების არჩევა სემესტრების შესაბამისად;
4. უნივერსიტეტმა გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერა, რათა უფრო აქტიური გახდეს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, საერთაშორისო მოხილობებში და სხვა მსგავს პროექტებში მათი მონაწილეობა;
5. ფაკულტეტის ბიუჯეტში ცალკე პუნქტებად (ნათლად) გამოიყოს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - პუბლიკაციების, სტატიების, გამოქვეყნებებისას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემისას, კონფერენციებში/ სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად (მხარდასაჭერად) საჭირო ფინანსური რესურსები;
6. თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ და სიღრმისეულად უნდა იყოს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი;
7. დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით;
8. სასურველია პროგრამების დადარება საერთაშორისო/ადგილობრივ ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>9</sup>

ექსპერტების მიერ გაცემული 8 რჩევიდან ინსტიტუციამ გაითვალისწინა 6 რჩევა.

<sup>8</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

<sup>9</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



## დამატებითი ინფორმაცია<sup>10</sup>

---



---



---

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ<sup>11</sup>

სტანდარტის დასახელება <sup>12</sup>	სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება <sup>13</sup>	ქვესტანდარტი 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რჩევა <sup>14</sup> I	დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.
შეფასება	ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებაში საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიუშავა საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასების ფორმა, რომელშიც წარმოდგენილია აკრედიტაციის სტანდარტების მიღწევის შესაბამისი კითხვები და რანჟირებული შეფასებები. ფორმა ითვალისწინებს ცალკეულ შეკითხვასთან მიმართებით შემფასებლის მხრიდან თვალსაზრისის/რეკომენდაციის/ რჩევის წარდგენის შესაძლებლობა. <b>რჩევა გათვალისწინებულია.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასების ფორმა.</li> </ul>

<sup>10</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

<sup>11</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>12</sup> სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>13</sup> კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>14</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რჩევა <sup>15</sup> II	დოქტორანტობის კანდიდატთა გასაუბრების შეფასება განხორციელდეს არამართო კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმებით, არამედ გასაუბრებაც შეფასდეს გაზომვადი კრიტერიუმებით.
შეფასება	ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კანდიდატთან გასაუბრების შეფასების ფორმა. გასაუბრების შეფასება ხდება ორი კრიტერიუმის მიხედვით. კერძოდ, (1) მსჯელობის აკადემიურობა და საკითხის წარმოჩენა; (2) დისკუსია/დებატები. თითოეულის შეფასება ხდება 5 ქულიანი სისტემით, თუმცა <b>დეტალურად არ არის წარმოდგენილი ცალკეული ქულის შინაარსობრივი მხარე.</b> <b>რჩევა გათვალისწინებულია.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კანდიდატთან გასაუბრების შეფასების ფორმა.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I <sup>16</sup>	რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში.
შეფასება	წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია, რომ სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა ცალკეული სასწავლო კურსის ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ცვლილებები შეიტანა „ღია ეკონომიკის“ სასწავლო კურსის პირველი სწავლის შედეგში. აღნიშნული ფორმულირებულია შემდეგი სახით:

<sup>15</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>16</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)





	<p>„ადგენს ღია ეკონომიკის ფუნქციონირების თანამედროვე თავისებურებებს“. შესაბამისად, ცვლილებები შევიდა პროგრამის 1, 4, 6, 7, 8 სწავლის შედეგებში.</p> <p>ამასთან, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმი N77- დან ვეცნობით, რომ ცვლილებები შევიდა „სწავლების მეთოდების“ სასწავლო კურსის შედეგებში, რომელიც ამჯერად მხოლოდ მე-5 და მე-8 შედეგებზე გადის.</p> <p><b>რეკომენდაცია შესრულდა.</b></p>
<p>რჩევა<sup>17</sup> III</p>	<p>სასურველია პროგრამების დადარება საერთაშორისო/ადგილობრივ ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.</p>
<p>შეფასება</p>	<p>პროგრამის დადარება განხორციელდა სამ ადგილობრივ და სამ უცხოურ ანალოგ პროგრამასთან, როგორებიცაა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის უნივერსიტეტის, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, ასევე, ვენის უნივერსიტეტის (ავსტრია), ტორონტოს უნივერსიტეტის (კანადა), მიუნხენის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის (გერმანია) ეკონომიკის სადოქტორო პროგრამებთან. ინფორმაცია წარმოდგენილია პროგრამების დადარების დოკუმენტში.</p> <p><b>რჩევა გათვალისწინებულია.</b></p>
<p>მტკიცებულებ(ებ)ა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• სადოქტორო პროგრამა;</li> <li>• ამონაწერი სტუ საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის 2022 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი N3 - დან;</li> <li>• სტუ საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმი N77;</li> <li>• პროგრამების დადარების დოკუმენტი.</li> </ul>

<sup>17</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II <sup>18</sup>	რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და დაზუსტდეს კურსის შინაარსთან მიმართებაში.
შეფასება	ანგარიშიდან ვკითხულობთ, რომ სასწავლო კურსში „სწავლების მეთოდები“ შეიცვალა როგორც კურსის მიზანი, ასევე შედეგი. წარმოდგენილი ფორმულირებები მიზნისა და შედეგის ურთიერთკავშირს ასახავს. ამასთან, გადამუშავდა სასწავლო კურსის „ღია ეკონომიკა“ პირველი შედეგი და მისი ფორმულირება მოხდა შემდეგი სახით: „ადგენს ღია ეკონომიკის ფუნქციონირების თანამედროვე თავისებურებებს“. ცვლილებები დამტკიცდა არსებული წესის შესაბამისად. <b>რეკომენდაცია შესრულდა.</b>
რჩევა <sup>19</sup> IV	სასწავლო კურსებს „გადაწყვეტილების მიღების მოდელები ეკონომიკაში“ და „ეკონომიკური უსაფრთხოება“, მათი შინაარსისა და შესასწავლი მასალიდან გამომდინარე მოეხსნას წინაპირობა. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს უფრო მოქნილად (მოზილურად) მოახდინონ სასწავლო კურსების არჩევა სემესტრების შესაბამისად.
შეფასება	ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ <b>რჩევა გათვალისწინებულია.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• სადოქტორო პროგრამა;</li> <li>• სილაბუსები;</li> <li>• ამონაწერი სტუ საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის 2022 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი N3 - დან;</li> <li>• სტუ საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმი N77.</li> </ul>

<sup>18</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>19</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III <sup>20</sup>	რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.
შეფასება	ანგარიშიდან ვკითხულობთ, რომ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი გაიზარდა სასწავლო კურსებში „სწავლის მეთოდები“, „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“, „ეკონომიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები“, „ეკონომიური უსაფრთხოება“ და „ღია ეკონომიკა“. წარმოდგენილი ცვლილებები ასახულია ჩამოთვლილი სასწავლო კურსების სილაბუსების შესაბამის კომპონენტებში. ახლადწარმოდგენილი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებია და უზრუნველყოფს ახალ ცოდნაზე წვდომას. თუმცა სასურველია, გაგრძელდეს მუშაობა ლიტერატურის განახლების მიმართულებით როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურის ნაწილში, რათა შეიცვალოს პროპორცია ახალ და ძველ გამოცემებს შორის. <b>რეკომენდაცია შესრულდა.</b>
მტკიცებულებ(ებ)ია	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• სასწავლო კურსის სილაბუსები.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია IV <sup>21</sup>	დოქტორანტის მიერ შესრულებული სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც გამოქვეყნდეს ისეთ ჟურნალში ან საკონფერენციო მასალათა კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში და Web of Science - ში.

<sup>20</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>21</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	<p>სტუ-ის დოქტორანტურის დებულების ახალი რედაქციის შესაბამისად, დოქტორანტებისთვის სწავლის პერიოდში დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული სამი პუბლიკაციიდან სულ მცირე ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში, Web of Science -ში, Google Scholar -ში ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის ბაზაში. ინფორმაციული მასალების დამოწმებას ახორციელებს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი. აღნიშნული ცვლილება ასახულია სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მუხლში 8. სადისერტაციო ნაშრომის და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და შემოწმება. პუნქტი 4.</p> <p><b>რეკომენდაცია შესრულდა.</b></p>
მტკიცებულებ(ებ)ია	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მუხლი 8. სადისერტაციო ნაშრომის და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და შემოწმება. პუნქტი 4.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 2.5. სწავლა-სწავლების მეთოდები
რეკომენდაცია V <sup>22</sup>	რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად.
შეფასება	<p>ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსების ავტორებმა მოახდინეს სასწავლო კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად სწავლების მეთოდების რევიზია. ცვლილებები შევიდა სასწავლო კურსში „სწავლების მეთოდები“, სადაც მეექვსე თემას დაემატა „სოკრატეს მეთოდი“, ხოლო მე-5, მე-6 და მე-7 სემინარს დაემატა როლური თამაშის მეთოდი - იმიტაციური ლექციის ჩატარების სახით.</p> <p>სასწავლო კურსს „ გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები ეკონომიკაში“ სწავლა - სწავლების მეთოდების აქტივობებში დაემატა „ გონებრივი</p>

<sup>22</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	იერიშის მეთოდი“, ხოლო სასწავლო კურსს „ეკონომეტრიკა“ - წერითი მუშაობა. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების კომპონენტს დაემატა როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდები. <b>რეკომენდაცია შესრულდა.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა;</li> <li>• სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>• ამონაწერი სტუ საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის 2022 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი N3 - დან;</li> <li>• სტუ საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმი N77.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია VI <sup>23</sup>	რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსსა და სწავლის შედეგების შესაბამისად.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ ცვლილებები შევიდა შემდეგი სასწავლო კურსების შეფასების მეთოდებში: <ul style="list-style-type: none"> <li>• „სწავლებს მეთოდები“, სადაც მიმდინარე აქტივობის შეფასება შეიცვალა და დისკუსიის ნაცვლად წარმოდგენილია დებატები და ქეისები;</li> <li>• „ეკონომიკური უსაფრთხოება“, სადაც დასკვნითი გამოცდის 4 თეორიული საკითხის ნაცვლად წარმოდგენილია 3 თეორიული საკითხი და ერთი ანოტირებული კატალოგი, რომელიც დარგობრივი თემატიკის სტატიების გამოყენებით უნდა შემუშავდეს.</li> </ul> <b>რეკომენდაცია შესრულდა.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> </ul>

<sup>23</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<ul style="list-style-type: none"> <li>სასწავლო კურსების სილაბუსები.</li> </ul>
სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია VII <sup>24</sup>	რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება და სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.
შეფასება	<p>ანგარიშის აღწერიდან ვკითხულობთ, რომ დოქტორანტები ხელმძღვანელისგან სისტემატურად იღებენ კონსულტაციებს სასწავლო გეგმის შემუშავების, პროსპექტუსისა და კოლოქვიუმის მომზადების საკითხებზე. ხელმძღვანელები დოქტორანტებს აქტიურ დახმარებას უწევენ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის კვლევაში ინტეგრირების მიმართულებით. ასევე, იმაში, რომ დოქტორანტებმა უზრუნველყონ სადოქტორო ნაშრომების სათანადოდ გაფორმება.</p> <p>წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომების გამოყენებული ლიტერატურის გაცნობით დასტურდება, რომ კვლევის პროცესში მეტწილად თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაა გამოყენებული, თუმცა სასურველია გაგრძელდეს აქტიური მუშაობა მაღალრეიტინგული სამეცნიერო ბაზების უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების მიმართულებით.</p> <p><b>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.</b></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ანგარიში;</li> <li>დაცული სადისერტაციო ნაშრომები.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

<sup>24</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია VIII <sup>25</sup>	რეკომენდებულია სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს დოქტორანტის სამეცნიერო თემატიკის შერჩევა.
შეფასება	<p>ანგარიშიდან ვკითხულობთ, რომ ეკონომიკის დეპარტამენტში განიხილება და მტკიცდება მეცნიერ-ხელმძღვანელების მიერ შერჩეული აქტუალური სადისერტაციო ნაშრომების თემატიკა. სადისერტაციო თემის დამტკიცების წესი გაწერილია დოქტორანტურის დებულებაში, მუხლი 4. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემების დამტკიცება, თუმცა <b>სადისერტაციო თემატიკის განხილვის და დეპარტამენტში დამტკიცების შესახებ ინფორმაცია დებულებაში ვერ იძებნება.</b></p> <p>სამეცნიერო ხელმძღვანელები არიან დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლით. სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი (მათ შორის მოწვეული), ემერიტუსი, აგრეთვე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც აქვს დოქტორანტის საკვლევი თემის მიმართულებით სამეცნიერო კვლევის გამოცდილება. პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ აღნიშნული წესი დაცულია.</p> <p><b>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.</b></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;</li> <li>• დაცული დისერტაციები;</li> <li>• პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 4.1. ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია IX <sup>26</sup>	აკადემიური პერსონალისთვის წაყენებულ მოთხოვნებში აისახოს Scopus-ში და Web of Science -ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო

<sup>25</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>26</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>ჟურნალებსა და/ან კონფერენციათა მასალებში ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება.</p>
შეფასება	<p>ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ პროფესორის სამუშაოთა აღწერილობით მოითხოვება შემდეგი აქტივობები განსაზღვრული სიხშირით:</p> <p>„3.1. ყოველ ორ წელიწადში, არანაკლებ ორი სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში/კრებულში (აქედან არანაკლებ ერთი - სტუდენტ(ებ)ის თანამონაწილეობით);</p> <p>3.2. ყოველ ორ წელიწადში, საერთაშორისო, მაღალ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში/კრებულში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება;</p> <p>3.3. ყოველ ორ წელიწადში, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, ვორკშოპი, სამეცნიერო სემინარი, კონგრესი) მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით;</p> <p>3.4 ოთხი წლის განმავლობაში, გამოაქვეყნოს ერთი სახელმძღვანელო, სამეცნიერო წიგნი, მონოგრაფია ან კრებული; 3.5. ოთხი წლის განმავლობაში, მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტში.</p> <p>ამასთან, ანგარიშში მითითებულია თანაავტორობით შესრულებული ნაშრომები, რომელთაგან 2 სტატია გამოქვეყნებულია ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში და Web of Science-ის ბაზებში.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ პროფესორის სამუშაოთა აღწერილობაში არ კონკრეტდება აღნიშნული ბაზების შესახებ მოთხოვნა, აკადემიურმა პერონალმა შეძლო ნაშრომების გამოქვეყნება Scopus-ში და Web of Science-ში ინდექსირებულ ჟურნალში. შესაბამისად, დგინდება, რომ <b>ექსპერტების მოთხოვნა შესრულებადია და აუცილებელია მისი ფორმალიზაცია.</b></p> <p><b>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.</b></p>
მტკიცებულებ(ებ)ია	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პროფესორის სამუშაოთა აღწერილობა.</li> </ul>
სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა





კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
რეკომენდაცია X <sup>27</sup>	პროგრამის ბიუჯეტში აისახოს დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსება.
შეფასება	<p>ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პროგრამის ბიუჯეტში „სხვა ხარჯების“ ნაწილში, რომელიც მთლიანი ბიუჯეტის ნაწილია, ასახულია საჭირო თანხები დოქტორანტების კვლევის მხარდასაჭერად. ასევე, ფაკულტეტის ბიუჯეტში - მუხლი 2. საქონელი და მომსახურება, კოდი - 22106, რომელიც ფაკულტეტის ბიუჯეტის 0,7%-ია, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, შეხვედრების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის არის გამოყოფილი. <b>პროგრამის ბიუჯეტიდან ჩანს, რომ სხვა ხარჯების ნაწილში არ არის დაკონკრეტებული რამდენს მოიცავს დოქტორანტების კვლევაზე გამოყოფილი ხარჯები.</b> ფაკულტეტის ბიუჯეტიდან აღნიშნულ მუხლში განსაზღვრულია 5000 ლარი. <b>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.</b></p>
რჩევა <sup>28</sup> V	უნივერსიტეტმა გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერა, რათა უფრო აქტიური გახდეს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, საერთაშორისო მობილობებში და სხვა მსგავს პროექტებში მათი მონაწილეობა.
შეფასება	<p>ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - პუბლიკაციების, სტატიების, გამოქვეყნების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, გამოცემების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერის წყაროს შესახებ, რომელიც სტუ-ის ნაერთ ბიუჯეტში 50 000 ლარის სახით არის წარმოდგენილი. მტკიცებულების სახით სასურველი იქნებოდა წარმოდგენილიყო 2022 წელს კონკრეტულად გაწეული ხარჯები ამ საქმიანობაზე ბენეფიციარების რაოდენობის მითითებით. <b>რჩევა გათვალისწინებულია.</b></p>

<sup>27</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>28</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა <sup>29</sup> VI	ფაკულტეტის ბიუჯეტში ცალკე პუნქტებად (ნათლად) გამოიყოს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - პუბლიკაციების, სტატიების, გამოქვეყნებებისას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემისას, კონფერენციებში/ სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად (მხარდასაჭერად) საჭირო ფინანსური რესურსები.
შეფასება	ფაკულტეტის ბიუჯეტში სხვა ხარჯების ნაწილში ცალკე პუნქტებად გამოიყო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - პუბლიკაციების, სტატიების, გამოქვეყნებებისას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემისას, კონფერენციებში/ სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ფინანსური რესურსები. <b>რჩევა გათვალისწინებულია.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• პროგრამის და ფაკულტეტის ბიუჯეტები;</li> <li>• სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტი.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	ქვესტანდარტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია XI <sup>30</sup>	რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედების მიზნით საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დარგის სპეციალისტების ფაკულტეტისა და სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელების ჩართულობით. ანგარიშს ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების დადარების შედეგები, რითაც დასტურდება, რომ სამიზნე ნიშნულები მიღწეულია.

<sup>29</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>30</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>ასევე, ჩატარდა სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა დოქტორენტებისა და აკადემიური პერსონალის დადებითი შეფასება სასწავლო პროცესის და საკვლავი ბაზის მიმართ.</p> <p>ინსტიტუციამ ასევე წარმოადგინა ოთხი სხვადასხვა მოწინავე უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერ-ეკონომისტების გარე შეფასება, რომელთა მიერ ეკონომიკის მოდიფიცირებული სადოქტორო პროგრამა დადებითად არის შეფასებული.</p> <p><b>რეკომენდაცია შესრულდა.</b></p>
<p>მტკიცებულებ(ებ)ა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• გამოკითხვის შედეგები;</li> <li>• სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;</li> <li>• გარე შემფასებელთა მიერ შევსებული ფორმები;</li> <li>• პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.</li> </ul>

**თანდართული დოკუმენტაცია<sup>31</sup>**

1. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები;
2. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პროფესორის სამუშაოთა აღწერილობა;
3. პროგრამის და ფაკულტეტის ბიუჯეტები;
4. სტუ საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები;
5. პროგრამების დადარების დოკუმენტი
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
7. დაცული დისერტაციები;
8. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
9. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კანდიდატთან გასაუბრების შეფასების ფორმა;
10. საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასების ფორმა.

ექსპერტის ხელმოწერა

<sup>31</sup> თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა